**სს „ტერაბანკი“ აცხადებს ტენდერს** - სათავო ოფისებსა და ფილიალებში სარეკლამო აბრების, ბანკომატის მაჩვენებლების დამზადება, მონტაჟი და დემონტაჟის სამუშაოების შესყიდვაზე.

**ტენდერის ფარგლებში შეირჩევა საუკეთესო ფასის და მომსახურების პირობების წარმომდგენი ერთი კომპანია, რომელთანაც გაფორმდება ხელშეკრულება ზემოაღნიშნული სამუშაოების შესყიდვაზე. სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრულია 3-4 თვე ხელშეკრულების მხარეთა მიერ ხელმოწერიდან დღიდან.**

**ელ. ტენდერი**

ტენდერი ჩატარდება 3 ბიჯიანი ვაჭრობის ტიპის გამოყენებით Tenders.ge-ს ს ელექტრონული შესყიდვების პორტალზე. ტენდერში მონაწილეობისათვის დამატებით იხილეთ დანართი „ელ. ტენდერში მონაწილეობის ინსტრუქცია“.

Tenders.ge-ს ელექტრონული შესყიდვების პორტალზე, ვაჭრობის დასრულების შემდგომ გამოვლინდება ყველაზე დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი.

იმ შემთხვევაში, თუ 3 ბიჯიანი ვაჭრობის შემდგომ, ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია პრეტენდენტის თავდაპირველ შემოთავაზებაზე, ბანკი იტოვებს უფლება მოითხოვოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დადასტურება.

ფასწარმოქმნის ადეკვატურობა, შესაძლებელია დასაბუთდეს ექსპერტიზის დასკვნით, ან/და შესაბამის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების/აკრედიტაციის მქონე პირის მიერ გაცემული საექსპერტო ან/და აუდიტორული, ან/და საშემფასებლო დასკვნით (პრეტენდენტის მიერ, დასკვნასთან ერთად, ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის შესაბამისი უფლებამოსილების/აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტი), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას, როგორც მის მიერ დაფიქსირებულ წინადადების ფასთან (ხარჯთაღრიცხვის ჯამურ ღირებულებასთან), ასევე ხარჯთაღრიცხვის ერთეულებთან მიმართებაში.

**სარეკლამო აბრების, ბანკომატის მაჩვენებლების დასამზადებლად საჭირო ნიმუშების წარმოდგენა**

პრეტენდენტმა, ბანკის მოთხოვნის შესაბამისად უნდა წარადგინოს, დასამზადებელი სარეკლამო აბრების და ბანკომატის მაჩვენებლების დამზადებისათვის საჭირო მასალების ნიმუშები. შესაძლებელია ნიმუშების და სხვადასხვა მასალების პრეტენდენტის საწარმოო ტერიტორიაზე დათვალიერება/შემოწმება.

მასალის ნიმუშები პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ტერაბნკში შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვირსალაძის N 5. საკონტაქტო პირი ბატონი ლაშა ჭანტურიძე. ტელ: 595 110 174

**ფასწარმოქმნის ადეკვატურობის ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა**

ბანკი ელ. ფოსტის საშუალებით პრეტენდენტს უგზავნის შეტყობინებას ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის შესახებ. პრეტენდენტმა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასკვნის დედანი უნდა წარმოადგინოს შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვირსალაძის №5. საკონტაქტო პირი: ამირან ანანიაშვილი. მობილური: 595 908680.

ამავდროულად, ექსპერტიზის დასკვნის ელ. ვერსია უნდა გადაიგზავნოს შემდეგ ელ. ფოსტაზე: amiran.ananiashvili@terabank.ge

**მასალის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადა**

შესყიდვის ობიექტის ნიმუშის ან/და ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ვადა განისაზღვრება ბანკის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

## საკვალიფიკაციო მოთხოვნები და სატენდრო დოკუმენტაცია

**ტენდერში მონაწილე კომპანიები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს:**

- ანალოგიური საქმიანობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება.

**სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას:**

- შევსებულ ფასების ცხრილს (დანართი N1-1). ფასები უნდა მოიცავდეს შესასრულებელ სამუშაოებს სრულად, მათ შორის დამზადებას, მონტაჟს, დემონტაჟს, ტრანსპორტირებას და უნდა მოიცავდეს დღგ-ს;
- მიმდინარე კორპორატიული კლიენტების ჩამონათვალი;
- მინიმუმ სამი სარეკომენდაციო წერილი (ბოლო 6 თვის გაცემული);
- ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობას საგადასახადო დავალიანების არქონის შესახებ;
- საბანკო ამონაწერს ან ცნობას საბანკო ანგარიშებზე ბრუნვის შესახებ ბოლო (6 თვის);
- შეთანხმება კონფიდენციალურობაზე, შევსებული (იხ. თანდართული ფაილი).

**აუცილებელი პირობა :**

- მომსახურე კომპანიასთან ანგარიშწორება განხორციელდება მხოლოდ სს „ტერაბანკ"-ში გახსნილი საბანკო ანგარიშის საშუალებით.

**სატენდერო წინადადების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 15 ნოემბერი (15:00 სთ-მდე).**

ტენდერის მსვლელობის დროს პრეტენდენტ კომპანიებს უფლება აქვთ მოითხოვონ მათთვის საჭირო ინფორმაცია, რაც აუცილებელია სრულყოფილი სატენდერო შემოთავაზების მოსამზადებლად.
პრეტენდენტი პასუხისმგებელია ინფორმაციის კონფიდენციალურობაზე, როგორც ტენდერის მსვლელობის დროს ასევე მისი დასრულების შემდეგ.

**ინფორმაცია ელექტრონულ ტენდერში მონაწილეთათვის:**

- შემოთავაზება უნდა აიტვირთოს ელექტრონული შესყიდვების ვებ-გვერდზე: www.tenders.ge;
- ნებისმიერი შეკითხვა ტენდერის მიმდინარეობის პროცესში უნდა იყოს წერილობითი და გამოყენებულ უნდა იქნას www.tenders.ge-ს პორტალის ონლაინ კითხვა-პასუხის რეჟიმი.

ტენდერთან დაკავშირებულ ფორმალურ საკითხებთან დაკავშირებით დაუკავშირდით ამირან ანანიაშვილს, ელ.ფოსტის შემდეგ მისამართზე: amiran.ananiashvili@terabank.ge ტელეფონზე 255 00 00/(შიდა 2009). მობ: 595 908680.

დანართები:

- დანათი N1-1 (ფასების ცხრილი)
- დანათი N1-2 (ბანკომატების მისამართები)
- დანართი N 1  ATM მაჩვენებელი
- დანართი N 2 ავლაბარის ფილიალი ქეთევან დედოფლის გამზირი N 3
- დანართი N 3  ვირსალაძე   N 5
- დანართი N 4 ვაკე  ჭავჭავაძის N43
- დანართი N 5 ვერა მელიქიშვილი 8.2
- დანართი N 6 ბილტმორი რუსთაველის N 29
- დანართი N 7 დიდუბე  წერეთლის N 60
- დანართი N 8 აღმაშენებლის N 148
- დანართი N 9 კრწანისი გორგასლის N 37
- დანართი N 10 გლდანი ხიზანიშვილის N 17
- დანართი N 11 ბათუმი 2   რუსთაველის N 10
- დანართი N 12 ბათუმი 1 ჭავჭავაძის და ლუკა ასათიანის კვეთა
- დანართი N 13 ბათუმი 3 მწვანეს ქ. N 1
- დანართი N 14 თელავი  ბაგრატიონის ქ. N 1
- დანართი N 15 დედოფლისწყარო ჰერეთის N49
- დანართი N 16 მარნეული  რუსთაველის ქ.  N 37
- დანართი N 17 ღუდუშაური  კლინიკა
- დანართი N 18 სათავო ოფისი  მოცულობითი ასოები  ქ. წამებულის N 3
- დანართი N 19 სათვო ვირსალაძის N5
- დანართი N 20 თვისუფლების მოედანი N 4 ოფისი

დანართებში N1-დან - N20-ის ჩათვლით წარმოდგენილია საბეჭდი ფაილები და ვიზუალიზაციისათვის რენდერები.

შენიშვნა:

ბანკი იტოვებს უფლებას არ განიხილოს შემოსული წინადადება, რომელშიც არასრულად იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია.